ხელშეკრულება № 160

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ჩოხატაური

9 ივლისი 2019 წელი

ერთი მხრივ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მერის ირაკლი კუჭავას სახით და მეორე **მხრივ, შ.პ.ს. ,,ფესმეიქერ" (საინ.კოდ 441996538), წარმოდგენილი დირექტორის ბიძინა ჩიგოგიძის სახით** (შემდგომში „მიმწოდებელი") ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 იანვრის N112 განკარგულების და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 28 ივნისის N1001 ბრძანების შესაბამისად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

დაფინასნების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურება მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

შესყიდვის ობიექტი: --- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის N45 განკარგულებით გამოყოფილი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაობის დარჩენილი ეკონომიების დანართი N1-ის შესაბამისად და სოფელ ჭაჭიეთში ბეტონის საფარიანი გზის მოწყობის (სამუშაოების სავარაუდო ღირებულება - 90000 ლარი) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

(CPV – 71300000)

საპროექტო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს ცალ-ცალკე 4 ეგზემპლიარად და უნდა ახლდეს ელექტრონული ვერსია.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2500 (ორიათასხუთასი) ლარი.**

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საფინანსო დოკუმენტების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და ინვოისი ან/და ზედნადები) საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მომსახურეობის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურეობა ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

6. მომსახურეობის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 **მომსახურეობის** მიწოდება განხორციელდებ: ჩოხატაური, წერეთლის ქ. N2.

6.2. **მომსახურეობის** მიწოდება განხორციელდება **2019 წლის 9 ივლისიდან 2019 წლის 9 აგვისტოს ჩათვლით.**

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურება შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

9.2. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლემოსილია ხელშეკრულების ვადის გასვლის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე. თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით როგორიც

წყალდიდობაა,ხანძარი,მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები. აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

11.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს მაჟორული სისტემის დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულებისა და მოქმედების ვადები

13.1 ხელშეკრულების შესრულების ვადაა 2019 წლის 9 ივლისიდან 2019 წლის 9 აგვისტოს ჩათვლით.

13.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 9 ივლისიდან 2019 წლის 9 სექტემბრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“ ---------- ი. კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
ს/კ 242008705
სახელმწიფო ხაზინა

Chokhatauri municipality
Digitally signed by Chokhatauri municipality
Date: 2019.07.09 15:41:22 +04'00'

„მიმწოდებელი“ ---------- ბ. ჩიგოგიძე

შ.პ.ს. „ფესმეიქერ“
საინდ/კოდ 441996538
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
საინდ. კოდი LBRTGE22
ანგ. № GE03LB0113126152634001
ტელ: 577 61 02 92

Bidzina Chigogidze
Digitally signed by Bidzina Chigogidze
Date: 2019.07.09 15:42:19 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N160 დანართი N1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი სოფლის მხადაჭერის პრორამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ჩამონათვალი 2019 წელი

N	სოფელი	პროექტის დასახელება	სავარაუდო ღირებულებები	შენიშვნა
1	(ამაღლება) ამაღლება	შიდა გზების რეაბილიტაცია	2,181	
2	(ამაღლება) სამება	შიდა გზების რეაბილიტაცია	1,827	
3	(ამაღლება) სამება	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია		
4	(გოგოლესუბანი) გოგოლესუბანი	შიდა სასოფლოს გზების რეაბილიტაცია	1,378	
5	(გოგოლესუბანი) გოგოლესუბანი	ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია.	2,422	
6	(გორაბერეჟოული) გორაბერეჟოული	სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა	1,062	
7	(გუთური) გუთური	სოფელ გუთურში განათების მოწყობა	465	
8	(დაბლაციხე) დაბლაციხე	შიდა გზების რეაბილიტაცია	1,279	
9	(დაბლაციხე) საყვავისტყე	შიდა გზების რეაბილიტაცია	2,926	
10	(დიდი ვანი) გურისტყე	სოფლის კლუბის რეაბილიტაცია	1,637	
11	(დიდი ვანი) გამოღმა დობირო	შიდა გზების რეაბილიტაცია	1,814	
12	(დიდი ვანი) გაღმა დობირო	შიდა გზების რეაბილიტაცია	1,851	
13	(ერკეთი) ზემო ერკეთი	შიდა გზების რეაბილიტაცია	1,823	
14	(ერკეთი) ზემო ონჭიქეთი	შიდა გზების რეაბილიტაცია	1,824	
15	(ერკეთი) ქვემო ონჭიქეთი	შიდა გზების რეაბილიტაცია	1,812	
16	(ერკეთი) შუბანი	შიდა გზების რეაბილიტაცია	1,825	
17	(ვან-ზომლეთი) ზომლეთი	შიდა გზების რეაბილიტაცია	2,160	
18	(ვან-ზომლეთი) ვანი	შიდა გზების რეაბილიტაცია.	2,155	
19	(ზემო სურები) ზემო სურები	ადმინისტრაციულ ცენტრში მდებარე ახალგაზრდული ცენტრის რეაბილიტაცია და შემოღობვა	2,394	
20	(ზემო სურები) ზემო სურები	შიდა გზების რეაბილიტაცია	1,188	

21	(ზემო სურები) ტობახჩა	შიდა გზების რეაბილიტაცია.	1,564	
22	(ზემო სურები) თავსურები შველაურ-ციციბაური	შიდა გზების რეაბილიტაცია.	1,494	
23	(ზემო სურები) ჩაკიტაური	შიდა გზების რეაბილიტაცია.	1,290	
24	(ზემო სურები) წითელგორა	შიდა გზების რეაბილიტაცია.	1,804	
25	(ზემო სურები) ჭალა-ქადაგაური	ნაპირსამაგრის მოწყობა.	1,360	
26	(ზემოხეთი) განთიადი	შიდა გზების რეაბილიტაცია	1,096	
27	(ზემოხეთი) გოგოური	შიდა გზების რეაბილიტაცია	1,903	
28	(ზემოხეთი) თხილაგანი	შიდა გზების რეაბილიტაცია	2,000	
29	(კოხნარი) ბურნათი	შიდა გზების რეაბილიტაცია	1,621	
30	(კოხნარი) ბურნათი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	562	
31	(კოხნარი) წიფნარი	შიდა გზების რეაბილიტაცია	2,172	
32	(ნაბეღლავი) ნაბეღლავი	სასმელი წყლის სიტემის რეაბილიტაცია	550	
33	(ნაბეღლავი) თავპანტა	სოფლის სასაფლაოს შემოღობვა	1,028	
34	(ნაბეღლავი) ქვაბღა	სამედიცინო პუნქტის მოწყობა.	707	
35	(ნაბეღლავი) ჩხაკაურა	შიდა გზების რეაბილიტაცია	1,082	
36	(ნაბეღლავი) ჩხაკაურა	სამედიცინო პუნქტის მოწყობა.	1,084	
37	(საჭმიასერი) ქვემო ხეთი	შიდა გზების რეაბილიტაცია	1,432	
38	(საჭმიასერი)ქვემო ხეთი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	714	
39	(საჭმიასერი)კალაგონი	შიდა გზების რეაბილიტაცია.	720	
40	(საჭმიასერი)კალაგონი	წყლის სიტემის რეაბილიტაცია.	1,082	
41	(საჭმიასერი)მამულარი	შიდა გზების და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	1,921	
42	(საჭმიასერი)ჩომეთი	შიდა გზების რეაბილიტაცია	1,802	
43	(ფარცხმა) ზემო ფარცხმა	სოფელ ზემო ფარცხმაში გარე განათების მოწყობა	924	
44	(ფარცხმა) შუა ფარცხმა	სოფელ შუა ფარცხმაში განათების მოწყობა	716	
45	(შუა ამაღლება) შუა ამაღლება	სოფელ შუა მაღლებაში განათების მოწყობა	590	
46	(შუა სურები) შუა სურები	შიდა სასოფლო გზები რეაბილიტაცია	2,425	
47	(ჯვარცხმა) ჯვარცხმა	ხიდის რეაბილიტაცია.	3,054	

48	(ჯვარცხმა) ვაზიანი	ხიდის რეაბილიტაცია	1,078	
49	(ჯვარცხმა) ვაზიანი	შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია	710	
50	(ჯვარცხმა) ინტაბუეთი	შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია	2,163	
51	(ერკეთი) ქვემო ერკეთი	სოფელ ქვემო ერკეთში გარე განათების მოწყობა	497	
52	(ხიდისთავი) ახალშენი	სოფელ ახალშენში გარე განათების მოწყობა	550	
53	(ქვენობანი) ბუკნარი	სოფელ ბუკნარში გარე განათების მოწყობა	387	
54	(ქვენობანი) ბასილეთი	სოფელ ბასილეთში გარე განათების მოწყობა	312	
55	(ქვენობანი) ქვენობანი	სოფელ ქვენობანში გარე განათების მოწყობა	436	
56	(ხევი)ბჟლიეთი	სოფელ ბჟოლიეთში გარე განათების მოწყობა	380	
57	(ხევი) ხევი	სოფელ ხევში გარე განათების მოწყობა	463	
			77,696	

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობისშესახებ

ჩოხატაური

9 ივლისი 2019 წელი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი - ირაკლი კუჭავა ვადასტურებ, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს. ,,ფესმეიქერ"-ს (ს.კ.**441996538**) შორის 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული N160 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გამარტივებულ შესყიდვაში (კლასიფიკატორის CPV კოდი - **71300000**, დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი) ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის მოთხოვნას და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

მუნიციპალიტეტის მერი: **ირაკლი კუჭავა**

საქართველო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

დაბა ჩოხატაური, აკაკი წერეთლის ქ. N2; Chokhatauri distict, Akaki Tsereteli st. N2; E-mail: chokhatauri.board@yahoo.com; contact@chokhatauri.ge;

მუნიციპალიტეტის მერის

N 1001
28/06/2019

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1001-05-4-201906280933

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარის გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N36 დადგენილების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. გამოიყოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის“ (03 00) პროგრამიდან 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი და აღნიშნული თანხა მიიმართოს „შენობების ტექნიკური პასპორტების და მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადების და საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნების ხარჯების“ (03 03 01) ქვეპროგრამისათვის, კერძოდ: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული დარჩენილი ეკონომიებისა და სოფელ ჭაჭიეთში ბეტონის საფარიანი გზის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისათვის.
2. დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს უზრუნველყოს აღნიშნული თანხით დაფინანსება სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქუჩა N4.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა